ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. # 2

☎ 790 20-33-05
577 47-43-34

საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა # 102

14 მაისი 2012 წ.

საკრებულოს თავმჯდომარის 2012 წლის 1 მარტის N49 ბრძანებაში – ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-5 პუნქტისა და ,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის” 63-ე მუხლის საფუძველზე

v b r Z a n e b:

1. შეტანილი იქნას ცვლილება საკრებულოს თავმჯდომარის 2012 წლის 1 მარტის N49 ბრძანებაში - ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“.

2. ბრძანების დანართის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით (თან ერთვის).

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. N 4.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ანტონ ხუნდაძე

ვიზირებულია,

იურისტი *ედიშერ ჯიბუტი*

დანართი

დამტკიცებულია

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარის 2012 წლის 14 მაისის N 102 ბრძანებით

4	**ეკონომიკის, ინფრასტრუქტურის და საინვესტიციო გარემოს განვითარების სამსახური**	**8**
4.1	სამსახურის უფროსი	1
4.2	უმცროსი საჯარო თანამდებობის პირი - სპეციალისტი ურბანული დაგეგმარებისა და სივრცითი მოწყობის საკითხებში	1
4.3	უმცროსი საჯარო თანამდებობის პირი - სპეციალისტი საინვესტიციო და ინფრასტრუქტურული ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების საკითხებში	3
4.4	უმცროსი საჯარო თანამდებობის პირი - სპეციალისტი ეკონომიკის საკითხებში	1
4.5	უმცროსი საჯარო თანამდებობის პირი - სპეციალისტი მშენებლობის საკითხებში	1
4.6	უმცროსი საჯარო თანამდებობის პირი - სპეციალისტი გზებისა და ხიდების საკითხებში	1